ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიევისტიკა /Medieval Studies

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრი/ Master of Arts in Medieval Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი) . სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 60 კრედიტი - სავალდებულო დისციპლინები;
- 30 კრედიტი - არჩევითი დისციპლინები;
- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი;

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს ინტერდისციპლინურ პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას, რომლის მიზანია წყაროების შესწავლისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზის საფუძველზე, მოამზადოს მკვლევრები და პრაქტიკოსები მედიევისტიკაში, რომელთაც ექნებათ ღრმა ცოდნა შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის შესახებ, მისი რეგიონული განვითარების თავისებურებების წარმოდგენით.

პროგრამა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ისტორიული პროცესების და ეპოქის გათვალისწინებით, შეისწავლოს შუა საკუნეების საზოგადოება, მასში მიმდინარე ურთიერთობები - ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული. ასეთი მიდგომა მოითხოვს, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი, ტექნიკის, მეურნეობისა და სამართლის, აგრეთვე სხვა მომიჯნავე დარგების მონაცემების გამოყენებას. პროგრამა წარმოდგენილია ფართო წყაროთმცოდნეობის ბაზაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შედარებითი კვლევების წარმოება. სტუდენტებს მოეთხოვებათ შეადარონ და ერთმანეთთან დააკავშირონ სხვადასხვა საგანში შეძენილი მეთოდოლოგიები და ცოდნა, რათა შესაძლებლობა მიეცეთ, ერთი სფეროდან მეორეში გადაიტანონ ინოვაციური პრაქტიკა, შეძლონ სხვადასხვა პერიოდებსა და კონტექსტში ისტორიოგრაფიული შეხედულებებისა და პერსპექტივების გაცნობიერება. შეიძინონ დისციპლინათშორისი დეტალური ცოდნა, კონკრეტული პერიოდის დოკუმენტების სპეციფიკური საშუალებებითა და მეთოდებით შესწავლის უნარი.

პროგრამა არ არის შეზღუდული რომელიმე ლოკალური რეგიონის შესწავლით, პირიქით, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფართო არეალის შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი.

პროგრამაში მოცემული თემები და საგნები კონკრეტული წყაროების კრიტიკული ანალიზისა და მედიევისტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზეა წარმოდგენილი და ამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიული საქმიანობისათვის.

პროგრამა აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ავითარებს მათ ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები. ეს უზრუნველყოფს მაგისტრისთვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი;
- სართო სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო გამოცდა შუა საუკუნეების ისტორიაში.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობირება:

- მაგისტრი ღებულობს ღრმა და სისტემური ცოდნას მედიევისტიკაში, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ისტორიაში;
- მაგისტრს შეუძლია შუა საუკუნეების და აღორძინების პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება;
- ათვისებული აკადემიური მასალის საფუძველზე, მაგისტრი ორიენტირდება იმაში, თუ როგორც იცვლება ისტორიული ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად და როგორ უკავშირდება ისტორიული დებატები ეპოქის პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებს,
- მიღებული აკადემიური ცოდნის საფუძველზე მაგისტრს შეუძლია შუა საუკუნეებში მიმდინარე პროცესების, მისი განვითარების მიღწევების გამოყენება და დაკავშირება თანამედროვეობასთან და თანამედროვე პერიოდში მიმდინარე პროცესების საფუძველზე ამ მოვლენების რეინტერპრეტაცია;
- სწავლობს სხვადასხვა მედიევალური სივრცეთა ძირითადი მახასიათებლებისა განსაზღვრასთან ერთად მედიევალურ სამყაროში არსებული მულტიკულტურულობისა და სხვადასხვა კონფესიათა და ნაციონალურ ერთობათა თანაარსებობის თავისებურებებს.
- მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- მაგისტრს აქვს უნარი, მოახდინოს ინტერპრეტირება შუა საუკუნეების მოვლენების, განვითარებებისა, საზოგადოებისა და პოლიტიკის რეგიონალურ და ადგილობრივ ჩარჩოებში. მას უნდა შეეძლოს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, წყაროებისა და თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი;
- მაგისტრს აქვს საანალიზო მასალის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და კვლევითი შედეგების შეჯერების უნარი; სხვადასხვა წყაროებისა ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი;
- მაგისტრს შეუძლია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, წყაროებისა და თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი;
- მაგისტრს აქვს სხვადასხვა მოსაზრებათა, კონფესიათა განსხვავების და ამ კონფესიის დროსთან დაკავშირების უნარი.
- მაგისტრი იცნობს შუა საუკუნეების სპეციფიკის შესაბამისად წერილობით წყაროებზე მუშაობის თავისებურებებს და აქვს მისი კრიტიკული ინტერპრეტაციის უნარი.
- მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და

სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი - მაგისტრი ფლობს:

- ტექსტში გადმოცემული მასალის კრიტიკული გაცნობიერების, არგუმენტაციის, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარს;
- სხვადასხვა კულტურულ და ნაციონალურ, თუ კონფესიულ საფუძვლებზე წარმოქმნილი შედეგების გააზრების უნარს.
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების განმარტებისა და ინტერპრეტაციის უნარს.
- სისტემური ცოდნის გამოვლენის და პრობლემაში ღრმად და თავისუფლად ორიენტირების უნარს;

კომუნიკაციის უნარი- მაგისტრს შეუძლია:

- შეუძლია ელექტრონული ლიტერატურის მოძიება და გამოყენება;
- სხვადასხვა საუნივერსიტეტო, თუ სხვა სამეცნიერო ცენტრების მიერ შექმნილი ელექტონული ლიტერატურის და ელექტრონული საბიბლიოთეკო წყაროების, ელექტრონული ბაზების მოძიება და გამოყენება.
- კრიტიკული აზრის გამოთქმა და დისკუსიაში ჩართვა.
- საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;
- პრეზენტაციის დროს აუდიტორიისათვის საპრეზენტაციო მასალის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- კვლევის შედეგების, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით პრეზენტაცია ქართულ და უცხოურ ენაზე

სწავლის უნარი –

- მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება.
- იღებს ცოდნას თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და ფორმების გამოყენების შესახებ; აქვს ახალი ცოდნის შეძენისთვის მზაობა.
- გააჩნია უნარი ახალი იდეების, კონცეპციების, განსხვავებული მოსაზრებების შესწავლის, გადმოცემისა და კრიტიკის;
- გააჩნია მედიევისტიკის სფეროში თანამედროვე დასავლური ცოდნის გამოყენების და საკუთარი პროფესიული ცოდნის გაღრმავების უნარი კვლევის პროცესში;
- პრეზენტაციებსა და პროექტზე მუშაობის პროცესში სტუდენტი გამოიმუშავებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის უნარს. სასწავლო კურსის ფორმატიდან გამომდინარე, სტუდენტებს უვითარდებათ აგრეთვე შემდეგი უნარ–ჩვევები: დროის ფორმატის ზუსტი განსაზღვრის, საკუთარ ნაშრომზე პასუხისმგებლობის (არ დაიშვება პლაგიატი) და სხვ.

ღირებულებები –

- მაგისტრს შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

- სხვადასხვა კონფესიათა თანაარსებობისა და დამოკიდებულებათა შესწავლის საფუძველზე მაგისტრს ჩამოუყალიბდება ტოლერატული დამოკიდებულება სხვადსხვა კონფესიების მიმართ;
- მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი;
- მაგისტრი მიიღებს სათანადო საფუძველს, რათა კონკრეტული სამეცნიერო თუ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, ცოდნის გადაცემისას დაიცვას აკადემიური პატიოსნების ნორმები და სტანდარტები.
- მაგისტრს შეუძლია დისკუსიის პროცესში სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, პაექრობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვა, ეთიკის ნორმების დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს მედიევისტიკისა და ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში და ა.შ.

სილაბუსები: თან ერთვის

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ბეჟან ჯავახია

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები თან ერთვის.
ბეჟან ჯავახია, მანანა ჯავახიშვილი, ნინო ჩიქოვანი, დარეჯან თვალთვაძე, ლელა ალექსიძე, თეა წითლანაძე, ვაჟა კიკნაძე, თეა ქარჩავა, აკაკი გეთიაშვილი, ქეთევან აბესაძე, მარიკა ჩაჩიბაია,

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
სტუდენტთა განკარგულებაშია აუდიტორიები, დარგობრივი ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კომპიუტერული ტექნიკა.
სტუდენტები ჩართული იქნებიან მედიევისტიკის კოლოქვიუმის მუშაობაში, ასევე შუა საუკუნეების თემატიკით გათვალისწინებულ სხვა პრობლემათა კვლევაში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **მედიევისტიკის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

შედეგების რუკა

№	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	ცოდნა და გაცნობიერება;	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;	დასკვნის უნარი;	კომუნიკაციის უნარი;	სწავლის უნარი;	ღირებულებები.
1.	თანამედროვე მედიევისტიკა (კვლევის მეთოდები, ფორმები და პერსპექტივები) (ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓	✓	✓	✓
2.	დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები *(კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამასთან და ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	✓	✓		✓	✓	✓
3.	ისტორიის პროცესი და კულ-ტურის კვლევები (მეთოდოლოგიური საფუძვლები) *(კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	✓	✓		✓	✓	
4.	პაპობა და კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში	✓	✓		✓	✓	✓
5.	შუა საუკუნეების საზოგადოება (ფეოდალიზმი ევროპაში)	✓	✓	✓	✓	✓	✓
6.	ნეოპლატონზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის (ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓	✓		✓
7.	ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი) (ებრაულ-არამეული ფილოლოგიის და კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამებთან ერთად)	✓	✓	✓		✓	✓
8.	ლათინური ან ბერძნული ენა (ძველი ენები და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓		✓	
9.	პალეოგრაფია, კოდიკოლოგია	✓	✓	✓	✓	✓	✓
10.	ევროპა, საქართველო და მონღოლები (საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓		✓	✓
11.	განათლება და ინტელექტუალები შუა საუკუნეებში	✓	✓	✓	✓	✓	✓
12.	ახალი აღთქმა და მისი ქართული თაგრმანის საკითხები	✓	✓	✓		✓	✓
13.	ინგლისური რეფორმაცია და ტიუდორების ევროპული პოლიტიკა	✓	✓	✓		✓	✓
14.	საფრანგეთი კაპეტინგების ხანაში	✓	✓	✓		✓	✓
15.	რელიგიური რეფორმები დასავლეთ ევროპაში, პროტესტანტიზმის წარმოშობა და ძირითადი მიმართულებანი	✓	✓	✓		✓	✓

16.	ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓		✓	✓
17.	განათლება და ინტელექტუალები შუა საუკუნეებში	✓	✓	✓		✓	✓
18.	ქართული ჰიმნოგრაფია (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓	✓	✓	✓
19.	შუა საუკუნეების ევროპაში პოლიტიკური აზროვნება და ურთიერთობანი	✓	✓	✓	✓	✓	✓
20.	Doctrinal Developments in the Christian Churches in Late Antiquity and the Early Middle Ages	✓	✓	✓		✓	✓
21.	Byzantium – Constantinople – Istanbul: a Medieval Metropolis, 330–c.1600	✓	✓	✓		✓	✓
22.	ნიდერლანდების რევოლუცია	✓	✓	✓		✓	✓
23.	რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქართველოში	✓	✓	✓		✓	✓
24.	აღორძინების ხანის ევროპა და ოტმანთა იმპერია. მტრობა თუ თანამშრომლობა?	✓	✓	✓		✓	✓
25.	შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრები სირიაში ედესისა და ნისიბინის აკადემიები (ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	✓	✓	✓		✓	✓
26.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	✓	✓		✓		
27.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	✓	✓		✓		